

A4033

3+

ქ ს რ თ უ ლ ო გ რ ა მ მ ა ტ ო ი ს

სწარტულად დაწერილი  
მამისაგან შეილგებისათვის.

„ და ენა წახვებ,  
„ ეროც დაწვენი.....  
„წახვების ნაწილი ტამბისა წსილასა.  
„ ვრიჯ. იორგელაიანი.

ტამბისაგან ყიფიანისა.



ისსეტაშეტეუბუადა.  
სამეცნიერო აკადემიის სტამბა.  
1882.

## კ ვ თ ხ ზ ე თ .

იმ პირთ, რომელნიც წიგნთ-საკევით სარგებლობენ, მოერიდონ წიგნიდან ფურცლების ამოღებას, ყლის გფუქებას და ფურცლებზე თავიანთი შენიშვნების წერას. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ წიგნები ქალაქის წიგნთსაცუის საზოგადო საკუთრებაა, რაიც ავალდებს ფრთხილად მოეპყრონ ამ წიგნებს.

ქუცდვაში შემთავარულს რამდენსამე შეტომის მოგვკა-  
რით თვალი და გასწორებას ვითხოვთ.

და ბეჭდილია.

უნდა იყო ს.

გვერდზედ სტრიქონში.

- |     |     |                              |                  |
|-----|-----|------------------------------|------------------|
| 3.  | 3.  | ბოლოდამ გადავივიწყოთ...      | გადავიწყოთ       |
| 6.  | 1.  | თავილამ მოგაყალღეს.....      | მოგაყოღეს        |
| —   | 4.  | ბოლოდამ 377.....             | 477              |
| 11. | 8.  | თავილამ «გ ის».....          | «დ» ის           |
| 12. | 12. | » მივევოთ.....               | მივევოთ          |
| —   | 7.  | ბოლოდამ გამოიქმოღეს.....     | გამოიქმოღეს      |
| —   | 4.  | » ასოთავანისაჭირო.           | ასოთავანი საჭირო |
| 16. | 7.  | » საკუთრე ბიოი . . . .       | საკუთრე ბიოი     |
| 17. | 11. | თავილამ გადაწუწუტილსა. . . . | გადაწუწუტილსა    |
| 27. | 7.  | » გასმართე ბელი. . . . .     | გასმართლე ბელი   |
| —   | 6.  | ბოლოდამ უფრო. . . . .        | უფრო             |
| 29. | 6.  | თავილამ იმრთის. . . . .      | იმრთის           |

- 31. 1. ბოლოდამ «ი-თ» . . . . . «ი» ღ
- 32. 3. » იკარტეზ. . . . . იკარტეზა
- 2. » «ა-თა» და «ე-თ». . . «ა» თა და «ე» თ —
- 33. 11. თავილამ და 4. . . . . 4.
- 13 და 14. უკა უნდა ჩაემატოს. . . და 5. ან ვითარებას არ გამოჰყვანდეს რასმე საუქმისას:

პატარა, სუჟარა, მასხარა,  
მძინარა, მჭირალა. . . .

- 5. ბოლოდამ ოთხი. . . . . ხუთი
- 34. 3. თავილამ «სა-ს» . . . . . «სა» ს
- 7. ბოლოდამ მძხალს. . . . . მძხალს
- 41. 7. » «მა ან. . . . . «მა» ან
- 3. » მრწეინვალე. . . . . ბრწეინვალე
- 45. 9. ბოლოდამ ვისიმე. . . . . ვისსამე
- 47. 6. თავილამ «თი-ს» და «ი-ს». . . «თი» ს და «ი» ს
- 52. 1. » ვაითუ. . . . . ვაითუ
- 55. 12. » საბერავი. . . . . საბერავი
- 15. » სიმოვანნი. . . . . სიმოვანნი
- 18. » საცემნი. . . . . საცემნი
- 56. 1. ბოლოდამ რომლიმე. . . . . რომელიმე
- 57. 4. » მეორეზედ. . . . . მეორეზედ
- 62. 6. » ოციოთ დატ ბორ. . . ოციოთ, დატ ბორ-
- 65. 11. თავილამ ვაცენეზ. . . . . «ვაცენეზ»
- 12. » ვაორძი. . . . . «ვაორძი-
- 5. ბოლოდამ ას, . . . . . ან,
- 66. 2. » «ი. . . . . «ი»
- 68. 5. » მერყეობა ზედ. . . მერყეობაზედ
- 72. 7. თავილამ გამოაჩინოო. . . . . გამოაჩინოოთო

73. 13. თავიღამ მალიან . . . . . ძალიან
74. 5. » **ქ**ვროპიული . . . . . III. **ქ**ვროპიული
77. 3. » გიწერია იმას . . . . . გიწერია, იმას
- 14. » ვერჩევი . . . . . ვერჩევი, ან ვირჩევი
78. 9. » მიმარმულე ბითი . . . . . მიმართულე ბითი
79. 6. » **წ**ნსაკუთრად . . . . . **წ**ნსაკუთრად
82. 8. ბოლოდამ იქმენ . . . . . იქმენ
83. 6. თავიღამ არ — — — . . . . . არ — — ვიყოთ
86. 3. ბოლოდამ ნუ გეყოლე ბის . . . . . ნუ გეყოლე ბა (გეყოლე-  
ბის)
97. 6 და 7. სტრიქონს შუა უნდა დრო მომავალი, სრული.  
ჩაემაცოს: . . . . . 51. გავაკეთო . . . 52  
გაგაკეთო . . . 53. გა-  
მაკეთო . . . 54. გამა-  
კეთოს . . .
98. 8. თავიღამ მაკეთებინო . . . . . მაკეთებინო
100. 2. ბოლოდამ გაკეთებინო . . . . . გაკეთებინა
101. თავიღამ 2, 3 და 4. სტრიქონების 66. გამაკეთებინა, გაგვა-  
მაკეთებინა, გაგვაკეთებინა,  
მაკეთებინა ასე უნდა: კეთებინა, გაკეთებინეს,  
გაკეთებინეს, გაკეთ-  
ებინა გააკეთებინეს
105. 9. თავიღამ მრავლი ბითი . . . . . მრავლობით
108. 9. ბოლოდამ გავლილი . . . . . მომავალი უსრული
109. 5. თავიღამ მომავალი . . . . . მომავალი მარჯივი
110. 5. » თანდგეული . . . . . თანდებული
112. 3. » გამოვიდა, . . . . . გამოვიდა
113. 5. ბოლოდამ ჰმოღგომა . . . . . მღგომა-
115. 8. » უნდით . . . . . უნდათ
- 13. » ნაცვალს ანგელს. ნაცვალსანგელს
126. 3. თავიღამ «ნვალა . . . . . «ნვალ»

128. 6. თავიღამ «ღ-თ»: . . . . . «ღ» თ  
 — 7. » «თ-ღ» . . . . . «თ» ღ
130. 1. ბოლოღამ ღ ანთვალეთ. . . . . დასთვალეთ
135. 6. თავიღამ შეართებს. . . . . შეაერთებს
136. 2. ბოლოღამ ოჭ, ოჭ, ოჭ! ჭა, ოჭ — ოჭ — ოჭ! ჭა —  
 ჭა, ჭა! . . . . . ჭა — ჭა!
-

დამსახურებულ პროფესსორს დ. ი. ჩუბინოვს.

ბოწყალყო ჟელმწიფეფ

ღაფით Ⴖესესჲეფ!

ტქვენი ლრამმარტიკა რომ აღარ იბოვებოდა, და აღარც სხვებისა, საქმე ისე გავვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ვეღარ ვახერხებდით; — მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა ლრამმარტიკა, როგორც მომეხერხებოდა და, აი, სტამბაში ვგზავნი კიდევ დასაბეჭდავად.

ღმ წლის ოკტომბრის დამდეგს რომ ჩემს სახლში ბძანდებოდით, მაშინ გთხოვეთ და თქვენც დამრთეთ ნება, რომ პირველად თქვენი პარტივისცემით სახსენებელი სახელი ვახსენო და თქვენს მეგობრობას ვუძღვნა ეს წიგნი, ებება თქვენამეგობრობით და თქვენი მაგალითით სხვებმაც ქართული ენის სიუყარულით, მითხრათ ან შემომამითვალათ, რასაც ეს სიუყარული ჩემთვის სათქმელად გავგონებთ: ენას ერთგულებას გაუწევთ მაგითი და მე დიდად დამაყალებთ.

თქვენი აღმარტებულების

გულითადი პარტივისცემელი

ბიბიკრი ყიფიანი.

სოფ. ქვიშხეთი,  
12 დეკემბერი 1881.

ღრამმატიკაში ეოვლის უპირველესი ღაპარაკი ანბან-  
 ზედ არის ხოლმე, — და აგრეტ უნდა იუოს, რადგან ანბანი  
 არის საფუძველი ღრამმატიკისა. — შაგრამ, ვისთვისაც  
 ამ წიგნსა ვსწერ, რადგან ქართული წერა-კითხვა უველამ  
 კარგად იცით, ანბანის ხსენებას მე სულაც აღარ ვაპი-  
 რებდი, მოულოდნელი მიზეზი რომ არ გამჩენიეო.

შალაან ვსწუხდი, რომ წერაში და ბეჭდვაში ასომთა-  
 ვრულის ხმარება გადავარდნილი იუო; სხვა არა იუოს რა,  
 იფალათვის მანისც დიდად სამძიმო არის სტრიქონების  
 ისეთი ერთნაირი გაბმა, რომ შესასვენებელი აღარც სად  
 წერტილი ჩნდეს და აღარცსად მომსხო ასო, წვნიკი ასოე-  
 ბისაგან გასარჩევი.

ღმ ჩემ წიგნს რომ საბეჭდავად ვაძლევედი, ვითხოვე,  
 სადაც ახლანდელი ევროპული მართლწერა მოითხოვს,  
 იქ ეოველგან მომსხო ასოები ხმარებულეიეო. ჟგ არ  
 შეიძლებაო, მითხრეს; წვრილ მხედრულ ასოებთან მსხვილი  
 მხედრული ასოების ჩაკვეტება არ მოხერხდება, თუ ისევე  
 ხეფური ასომთავრული არ ვინმარეთო.

მუგალით დამანახვეს, რომ მართლაც არ მოხერხდებოდა;  
და მაშინ ორში ერთის რჩევას დავადეკით :

ან ხელახლა უნდა მოგვეტყვიანებინა და ჩამოგვესმე-  
ვინებინა ისეთი მსხვილი ასოები, რომ წვრილებთან ყა-  
ლიბში მოსათავსებელი ყოფილიყო; — ამას დასჭირდუ-  
ბოდა — დრო ორიოდ ოვე და ფული ათიოდე თუმანი; —

ან არა და, ისევე ძველებურად — ჩვენებურად, საეკლეს-  
სიო სტამბის ასომთავრული უნდა გვექმარა.

ბუ ეს ვამჯობინე, ამიტომ რომ: 1. დრო მეტი სულ  
არა დაგვჭირდებოდა რა, რადგან ეს ასოები მზად არის; —  
2. ხარჯს არა მოემმატებოდა რა იმავე მიზეზით, — და  
3. ბევრმა ასომთავრული და ხუცური ანბანი სულაც აღარ  
იცით და სულ რომ გადავიფიწეთ, რა საქციელი იქნება.

ღმ სწავლის გასაადვილებლად იბეჭდება აქ სამნაირივე  
ქართული ანბანი :

მსგავრული, სხვადასხვაგვარი, და სუტური.

ა ბ გ დ ე ვ ზ ლ მ ნ

ო პ რ ს თ ვ ზ ლ მ ნ

ო პ რ ს თ ვ ზ ლ მ ნ

ს ტ ჭ ც ღ ქ ღ ღ ღ ღ

ს ტ ჭ ც ღ ქ ღ ღ ღ ღ

ს ტ ჭ ც ღ ქ ღ ღ ღ ღ

# ახალი ქართული გრამმატიკა.

## შესავალი.

ყველაფერს თავისი ბეჭედი აზისო, ნათქვამია, და ისეც გამოსდის, რომ ამ ჩვენს დროთაღმართებსაცა ჰქმნია თავისი ბეჭედი.

ძიგი და სამართალი მითხროვდა სწავლას ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელადინ და ძნელიდამ უმძიმესადინ გაუჭირვებლად ვივლიდეთ; თორემ რასაც ახლა თვალთა ვჭხედავთ და რაც გარს გვახვევია, აქედამ მოყოლების მაგიერად, სწავლას იქედამ გვაწებებინებენ ხოლმე, რაც ჯერ მიუწითამელია ჩვენი თვალისათვისაცა და გონებისათვისაც; და ამითი საქმე მეტად გვიძნელდება.

ძვენც აგრე იტანჯებოდით სწავლითა, შვილებო! ლეოგრაფიაში, მაგალითად ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგარბენინეს ფიქრითა და ბოლოს მოგიყვანეს ამ ჩვენს, ქვეყნის ოდენა ძაუსეთში; — საქართველოს გეოგრაფია სომ ჯერაც აზავის უსწავლემია თქვენთვის. —

უნებში ჯერ ფრანცუზულს მოგაყაღეს. მეჩუ რუსულსა და თქვენი დედა ენა კი, გეოგრაფიისა არ იყოს, სულაც არა ვის უსწავლებია. და, — როგორც პირ წყლიან ქართველებს, გინდაი ახლამანინც ისწავლოთ. **ზ**იად კარგი და პატიოსანია; ვთქვათ, დრო არც ახლა იყოს დაკარგული, — სწავლა ვის როდის მოსჭარბებიაო, ნათქვამია; — მაგრამ ვის უნდა გასწავლოთ და რა წიგნით?

ჰამა რომ შვილებისათვის არც მკურნალად ვარგა და არც მასწავლებლად, ეს კარგად ვიცით, მაგრამ რა გავვეწუბა.

სახელმძღვანელო წიგნი რომ არა გვაქვს, ეს უფრო ძნელი ჭირია, მაგრამ ან აქ რა გავვეწუბა.

**ზ**ი! ავიღე კალამი და გიწერთი **ჴ**ართულ **ღ**რამმატიკას.

**ჰ**ატომ ამბობს **ზ**იმ. **ყ**იფიანი, რომ ქართული **ღ**რამმატიკა არა გვექონიადესო, იტყვის სოგეოთი ახლანდელი მწიგნობარი და მართალსაც იტყვის, — დიალა გვექონია და გვაქვსცა:

ჯერ «პირველმედეგენილი **ი**რამმატიკა ბატონის **ლ**ნატონ **ჴ**ათოლიგოზისა», არხიეპისკოპოზად რომ იყო მანდელი<sup>1</sup>; —

---

<sup>1</sup> ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა, სრულიად საქართველომასა, დავითიანისა, სიცივა ძეთამი საქართველომასათა, ტესტამენტი, შრომათა თვისთა», კელნაწერი მთავარ-ღიაკონის ეგნატესი, ზუციის ონი-სიმეს მისა, ქკს უოზ (377) ქრისტეს აქეთ ჩღბთ 1783. — დაწერილებით განხილული და ღირსეულად დაფასებული ალექსანდრე ცაგარლისკან, მისს წიგნში: *O грамматической литературы Грузинскаго языка*. Сиб. Типография Акад. Наукъ 1873.

ბევრით იმას უწინ შედგენილი ხურაბ შანშოვანისაგან და ჩვენი სასიქადულო პროფესორი ლექსანდრე ცაგარლის დაბეჭდილი 1881. ს. ჰეტერბურდს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში; —

მეკე ირამმატიკა ღრხიუპისკოპოზის ღაიოზისა, ღრე-მენჩუგში დაბეჭდილი 1789-ს.;

მეკე ირამმატიკა შავით ბატონიშვილისა, ანგარიშიი 1798-ს. შედგენილი; —

ირამმატიკა ღარლამ მიტროპოლიტისა, რუსულად დაწერილი და 1802-ს. ს. ჰეტერბურდს დაბეჭდილი: —

ირამმატიკა ჟოანე ჟარიფელაფისა, 1809-ს. ხელნაწერა; —

ირამმატიკა დეკანოზის ჟესე ჰუბინოვისა, ხუცურად დაბეჭდილი, რადის და სად, არა სჩანს, მაგრამ ჩემ დროს სასწავლებელი წიგნი ეს იყო სასულიერო და საერო სასწავლებლებში, ტფილისს; —

ირამმატიკა ღოდერძი ჟირალაფისა, ს. ჰეტერბურდს-იოს. იოანესოვის სტამბაში დაბეჭდილი 1820-ს.

ირამმატიკა სოლომონ შოდაფისა, 1830. ტფილისში დაბეჭდული.

«შირუჭლ დაწეებთნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი სდატონ ჟგნატის ძისა ჟოსელიანისაგან», 1840. ტფილისს.

შა ბოლოს, ჩვენი ღირსად ჰატევეტეფისა და სასიქადულო პროფესორის შავით ჟესეს ძის ჰუბინოვისა, 1855-ს. დაბეჭდილი სპ. ბურდს.

ძამდენიმე უცხო პირიცა ეოფილა ჩვენი ლრამმატიკის შემუშავებელი, როგორც: მაგალითად: ენების მცოდნე ვინმე სვეტინი ფატერი, 1822-ს.; პატრი ჰიროლამო და — ჩორჩია, 1827-ს. შემეტესადრე ჩვენი გავლილი ეოფა ცხოვრების მეცნიერი გამოჩეძიებული და ჩვენი მწიგნობრობის გამოკვლევასუდ დიდი ღვაწლის დამდები ლკადემიკოსი ძარბოს ჯროსსე, — და ვინც აქ მოხსენებულნი არიან, ეველასუდ უწინ გაუწევია დიდი შრომა ქართული გრამმატიკის შედგენასუდ. ლათინურად, დონ ფრანს ჩესკო ძაჟჟოს, რომელსაც ორჯერ დაუბეჭდია თავისი ნაღვაწი გრამმატიკა: 1643-ს. და 1670-ს.<sup>1</sup>

ჩისა და ვის, როდის და როგორი ქართული გრამმატიკა უწერიანთ, დაწვრილებით არის გამოკვლეული და დაფასებული ჩვენი პატივცემული პროფესორი ლექსანდრე სეგარლისაგან 1873-ში<sup>2</sup>.

ლტონ ხათალიკოზი და ჯროსსე ქართული გრამმატიკოსების მოთავედ იხსენიებენ ჩინებულს ფილაროს ფოსს სოანე სეტრინის, რომელსაც უღვაწნია მე XII. სუკუნეში; მაგრამ თვალთ კი არც იმათ უნახავთ იმისი გრამმატიკა.

---

<sup>1</sup> Syntagmata linguarum orientalium que in Georgie regionibus audiuntur, authore D. Francisco — Maria — Maggio, clerico regulari, panormitano, Romae: Ex Typographia Sacrae Congregationis des Propaganda Fide MDCLXX.

<sup>2</sup> О грамматической литературе грузинского языка, критический очеркъ. Спб. Типография Академіи Наукъ, 1873.

წი, შეიღებო, რამდენი გვაქვს და გვექონია; მაგრამ რა გასდა: ჯერ ეს უნდა გითხრათ, რომ ახლა თითქმის აღარც ერთი არ იშოვება, თუ არ დიდის გაჭირვებითა და ნაიღაჯობით; და მეტი, — აღარც ეს არის დასამალავი, — ადვილადაც რომ იშოვებოდეს, საისტორიო მასალად კი გამოდგება, რა საკვირველია, მაგრამ სასწავლებლად აღარა.

**ქატომ?** პატარასხსის უკან თვითან თქვენ იტყვიან ამის შესახებ.

**რამმამტიკა** რა ლექსი ა, რასა ნიშნავს, ამაზედ თქვენთან სიტყვის გაგებლება საჭირო აღარ უნდა იყოს; სხვა ენების გრამმატიკა გისწავლიათ და იცით რაც არის; — მაგრამ განა არ შეიძლება ეს თქვენთვის დაწერილი წიგნი ისეთ ქართველსაც ჩაუყარდეს ვისმე ხელში, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა ჯერ არ შეეტყოს და თავში საცემად რათ გაუუხადათ უბრალო საქმე.

**რამმამ-არის** ბერძნული სიტყვაა, γράμμα: — ქართულად ითქმის — ასო, დასასმელი, დასაწერი; — «გრამ-მატა» — ასოები; — გრამმატიკა გამოდის — «ასოთ სმა», «ასოთ წერა», «მწერლობა». **ის** იყო პირვანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვისა.

**თუ** რომ კაცი დროს არ მიჰყუა და თავისი ცოდნაც თან არ მიაღწენა, იმისთანა საქმე დაემართება, რაც ამ ბერძნულ გრამმატიკას დაემართა: დრო დაუდგა ისეთი, რომ აღა რა ვინა სწერდა ისე, როგორც ლაპარაკობდნენ, — და აღა რა ვინ ლაპარაკობდა ისე, როგორცა სწერდნენ. სამ-

წიგნობრო და სსსუბრო კილოები მეტად დასცილდნენ ერთმანერთსა და სხვა და სხვა გზას ისე გაუდგნენ, როგორც, ვთქვათ, ახლანდელი სსსუბრო და ძველი სამწიგნობრო ქართული; ან როგორც რუსული და სლავურული; ძველი და ახალი ბერძნული ხომ-ერთი აღთას მიდის, მეორე ბაღთას.

წინტონი ღათალიკოზი ამბობს თავის წინა სიტყვაობაში:

«მნებავს მე ქალაღსა ზედა მეღენთა მიერ ნიშნობანიითა ღრამითა, რა განგიცხადოცა საიღუმლოჲ ჩემი. რათა ნუ სადა წარვითაცემცა მსწრაფელ მან-გლისა მიერ მფრინვალისა და ნუ სადა რა არა «ზღუაჲ» მე წილმხედეს თქვინთჲს»... .

ძაც ეს დაიწერა, მას აქეთ ჯერ არ გასულა ერთი საუკუნე; მაგრამ კი აღა რა ვინა სწერს ასე და ლაზარაკით ხომ-არა მგონია შეცთობა მომივიდეს, თუ ვსიქვი. ასე არც მაშინ უღაზარაკინათ-სეოქი.

ყველა იმ ძველ წიგნს ერქვა **ი**რამმატიკა და მე **ი**-ის შავიერად «**ი**-სა» ვხმარობ, რადგან სიტყვა, როგორცა ვთქვით, ბერძნულია და «**ლ**» არც ანბანში არის ბერძნულსა და ლათინურში, არც ენაში. — **ტ**ომ ვამბობი: ღენერალი, ღუბერნატორი, ღეოდრაფია, ღეოლოღია; — არც ერთი არ არის სწორე: უოვეღვან «**გ**» უნდა იუოს «**ღ**-ის» მბოერ.

ძაინცა და მაინცა უური შეჩვეული გვაქსო და ისევ

ღათა ვსწეროთო, იქნება სთქვან; დიად კარგი და ჰატოი-  
სანი; — მაგრამ მარადწერასაც თაჲისი კანონები აქვს და  
კანონის დარღვევას ხომ სასჯელიც დაჰქვება ხოლმე და  
სასჯელი შეიძლება შემკვიდრებობით მიადგეს სულ უბნალო  
მეცნიერს ვისმე გამომკვლეველსა, რომ სიტუვისა რომ-  
ლისამე ახსნა სჭირდებოდეს და ველარ მოეხერხებინოს ამ  
კანონის დარღვევის მიზეზით. — მას გარდა თუ ბერძნუ-  
ლი ან ლათინური სიტუების წერაში «უ» და «გ-ის» მაგი-  
რად «ლ» ვიხმარეთ როდისმე, ბარემ დავადგეთ ამას და  
ბოლომდინ ატრე ვიაროთ; ე. ი. ყოველი იმ ენებიდან  
მიღებული სიტუვა, სადაც ეს ასო იხმარება, სულ ერთნაი-  
რათა ვსწეროთ: **იკორლი** და არა **იკორტი**; **ირილოლ**  
და არა **ირიგოლ**; **ისბრიელ** და არა **ისბრიელ**; **ჟლნატე**;  
**იკოდრაჲია**, **ლემემონია** და სხვ.

მაშ **ღ** რამმეტოკა, თავისი ჰირვასდელი მნიშვნელობათ,  
სწავლა იყო კანონიერად წერა კითხვისა და ლაზარაჲისა; —  
და რაც ახლა მნიშვნელობა აქვს, სწავლა არის სასაუბრო  
თუ სალიტერატურო ენის თვისებათ გაცნობისა, ენის კა-  
ნონთ შეკრებისა და ასეთი წესით დაწობისა, რომ შეს-  
წავლა გადავიღებული იყოს, რამდენადაც კაცის მეცადი-  
ნეობით მოეხერხებოდეს. —

მა რომ ეს ასე ა, ახლა ვიკითხოთ, რამდენ ნაწილად  
გაყოფიება ეს სწავლა?

**ღ** აყოფება სამად.

**ს**ირველი არის — **ჟტიმოლოგია**, ქართულად **ხეკით-**  
**წარმოება**; —

შეორე — სინტაქსის, ქართულად **ჩექსთაისზულებას** და  
შესამე — **ბროტოგრაფია**, ქართულად — **ბართლ წერა**.

**სამივე** სახელი. **როგორც** ვჭხედავით, ბერძნულია. **სად-**  
კან ახლანდელი ევროპიული განათლება უფრო საბერძნე-  
თიდან მოდის და იტალიიდან, სამეცნიერო წიგნებისა და  
ამთ განყოფილებათ სახელები უფრო ბერძნული არის და  
ლათინური; — მაგრამ ზოგი და ზოგი არაბული შარავან-  
დედარ ურევია ამ განათლებას, ესპანიიდან შემოსული და  
ამიტომ ახლანდელს მეცნიერებას შიგა და შიგ არაბული  
სიტყვებაც ურევია; — მაგალითად: ქიმია, ალალუმინი,  
ალკოჰოლ, ალდებრა და სხ.

**ქ** ახლა **ქტიმოლოგიის** შესწავლას უნდა მივჭვოთ  
ხელი.

**ყოველი** კრამმარტივის დასაწყისი არის ანბანი. **ბე** აქ  
მართლ ამას ვიტყვი, რომ არა მგონია სხვა ხალხს ჰქონ-  
დეს ვისმე ასეთი ბუნებასთან დაახლოებული, განმარტი-  
ვებული და ადვილად სასწავლი ანბანი, როგორც ჩვენს  
გვაქვს. **წ**რათუ ასო არგვაკლია, რომ ქართული ხმა სწო-  
რედ გამოიქმოდეს, მე ამასაც გაბუდავ და ვიტყვი, რომ  
რასდენიმე ასო მეტიც არის: მაგალითად: «ბ, ჯ, ჯ, კ, ზ».  
**ტ**უ არ ანგარიშისათვის, არას შემთხვევაში არც ერთი ამ  
ასოთაცანისაჭირთ არ არის და სულ რომ გამოირატხე-  
ოდნენ. — ჩვენი ანბანის დიდდირსებას მიემატებოდა  
ასოთ რაცხვის შემცირება, და მართლწერის ძალიან გაად-  
ილენა. —

## ჩ ლ ე ნ ი ს ი .

### ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა .

ეს სიტყვა ორი სიტყვით არის შედგენილი:  
ეტიმოს — მართალი, სწორე; ჭეშმარიტი და ლო-  
გოს — ლექსი, სიტყვა.

ეტიმოლოგია — მართლ-სიტყვაობა, სწორე-სიტყ-  
ვაობა, — ლექსთა-წარმოება.

ძოგორც ქვეყნიერებაში ისეთი არა იპოვება რა, რომ  
თავისი დასაწყისი არა ჰქონდეს, თავისი დასაბამი, მიზეზი,  
საფუძველი, ძირი; — ისე არც სიტყვა იპოვება ისეთი.  
რომ თავისი დასაბამი არა ჰქონდეს, თავისი ძირი. . .

ძამდენფრადც, რამდენნაინადც უნდა იცვლებოდეს  
ლექსი და სხვა და სხვა მნიშვნელობას ითვისებდეს, იმისი  
ძირი მაინც უცვლელათა რჩება, ათასში ჭ ათათასში ერთს  
გარდა.

ძოგორც ერთძირ ხეზედ აწრიცხველი ტოტი და  
ფოთელი იზრდება, სიტყვის ძირიც ისე ხარტუობს და  
მრავლდება, მაგალითად: «კაცი».

კაცი, კაცური, კაცი, კაცობრივი, კაცობრიობა, კაცობრი-  
კაცობითი, კაციანი, უკაცო, უკაცური, უკაცურობა, უკაცრა-  
ვობა, უკაცრაული, კაცუნა, საკაცო, კაცობა, დედა კაცი, მამა-  
კაცი, ბერიკაცი, კაცთმოყვარე, კაცთმოყვარება, სილუდაკაცე.  
სიბერიკაცე. . . .

წი, ერთი სიტუებისგან რამდენი სხვა და სხვა სიტუაცია  
კავდება და სხვა და სხვა აზრი გამოდის.

წმ სიტუაციების წარმოებისას თავისი კანონები აქვს და  
ეკვლავ თავთავის დროზედ ამოვიკითხავთ.

წხ სიტუაცია რა და რა გვანი არის, ის ვთქვათ; — ან  
გზამკვლელებად რომ გავმისჯეთ, რამდენი და რა და რა  
სიტუაციის-საწილი არის ქართული?

ქართული სიტუაციის ნაწილი გამოჭყავდათ, სხვა ენების  
მიხედვით, რვა, მაგრამ — მიუბაძავად რომ ვთქვათ, არის  
შვიდი:

1. სხელი, 2. ნაცვალ-სახელი; 3. ზმნა, 4. ზმნის-  
ზედა, 5. კავშირი; 6. თანდებული და 7. შორისდებული.  
ზოგნი სიტუაციის ნაწილებში ჰსთვლიდნენ სახელსა ივისე-  
ბიისა, რომელსაც არქმევდნენ ზედშესრულს; — და ზოგნი  
ჰსთვლიდნენ მიმდროისასაც, რომელიც აუცილებელი და-  
სასრული არის ზმნის უღვივლებისა. — წსე სიტუაციის  
ნაწილი გამოჭყავდათ ზოგთა რვა და ზოგთა ცხრა.

სხვა ენების მიუხედავობამ ამ ნაწილების რიგით-სხე-  
ნებაც შეგვაცვლევინა, როგორც ქართულს უფრო შეძე-  
ვის.

## თავი I.

### ს ა ს ე ლ ი.

**ყოველს** თვალით დასახსავს ან ფიქრით წამოსადგენ  
საგანს უთუოთ სახელი ჭკვია რამე:

კაცი, ქალაქი, ქვეყანა, წყალი, ხე, ბალახი, ფრინველი, პი-  
რუტყვი და სხ.

**ხაცხაც** უკელას თავისი საკუთარი სახელი ჭკვია, ქალაქ-  
საც, ქვეყანასაც, მდინარესაც:

თემურაზ, ქეთევან, ქუთაისი, კახეთი, ქოროზი. . . .

**ყოველი** საგანი დასათვლელადცა ხდება ხოლმე:

ათი კაცი, სამი ქალაქი, ცხრა მთა. . . .

**ყოველსაგანს** თვისებაცა აქვს როგორიმე:

კარგი, ავი, თეთრი, მარდი. . . .

**ყვერი** ისეთი სიტყვაც არის, რომ ერთი თქმით თავაღწინ  
დაუთვლელი სიმრავლე წარმოგვიდგება ერთნაირი საგნებისა:

გუნდი, ჯოგი, ჯარი, ტყე. . . .

**ჩქედამ** გამოადის რომ სახელი, გრამმტიკულად, ხუთ-  
გვარი ეოფილა:

1. სახელი არსებითი საზოგადოებითი.
2. სახელი არსებითი საკუთრებითი.
3. სახელი შემკრებელობითი.
4. სახელი რიცხვითი; და
5. სახელი თვისებითი (ზედშესრული).

### მ. ვაჩი 1.

სახელი არსებითი საზოგადოებითი.

წრებითი სახელი მაშინ არის საზოგადოებითი, რადესაც ეგელას ერთნაირთა ჰქვია, რასაც კი ერთს მეორესაგან განურჩევლად წარმოვიდგენთ, როგორც წელანაც ვთქვით:

კაცი, ქალაქი, ქვეყანა; წყალი, ხე, ბაღი, ფრინველი, პირუტყვი:

მავე გვარს ეკუთვნის ბევრი ისეთი სიტყვა, რომ თითქო მრავლისაგან გამოირჩეოდეს, — მაგრამ გაცალკევებით კი ვერ წამოვადგენდეს საგანსა:

ხე: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, მუხა, თელა, წიფელა, რცხილა... ბაღი: კოინდარი, ჯინჭარი, ბაღა, ნაცარქათამა... ფრინველი: მწყერი, ბატი, ორბი, გერიტი... პირუტყვი: ხარი, კამბერი, ირემი, ფური...

ყველა ეს სიტყვა არის სახელი არსებითი საზოგადოებითი.

### მ. ვაჩი 2.

სახელი არსებითი საკუთრებითი.

საკუთრებითი სახელი მაშინ არის საკუთრებითი ან კერძობითი რადესაც მარტო იმასა ჰქვია, ვიზედაც ან რაზედაც ლაშარაკი არის ჩამოგდებული:

ივანე, პეტრე, ანდრია;... ანა, მარია, მარიამ;... ცფილისი, ქუთაისი, ბათუმი;... მტკვარი, რიონი, ქოროსი;... ფაზბეგი, იალბუჯი, კავასია...

ღ ვ ა რ ი 3.

სახელი არსებითი შემკრებელობითი:

სახელი შემკრებელობითი განუყოფელათა რჩება; მარს  
თაღის, ვამბობთ, დიდი ჯარითა, პატარა ტყეო, ცოტა  
ბზეო; მრავალი გუნდიო; მაგრამ გრამმატიკული დაყოფა  
აქ არა გამოადის რა.

ღ ვ ა რ ი 4.

სახელი რიცხვითი.

სახელი რიცხვითი არის რვა ნაირი:

ა. თელითი, როდესაც რიცხვს წარმოვიდგენთ ბე-  
ჯითსა, გადაწეუწტიღისა:

ერთი, ათი, ათასი...

ბ. როდესობითი; — როდესაც ჯგუფად და ჯგუ-  
ფად, მწეობზად და მწეობზად გამოვიხატავთ რასმე:

ორორი, ათ ათი, წეულ წეული, ცეუბ ცეუბი....

გ. მიეოღებითი, როდესაც ერთი ერთმანერთს მივა-  
დენებთ ან მივაეოღებთ; ან როდესაც სავანს სავანს თა-  
ვისთავად მისდევს, მიჭეუება:

პირველი, მეორე, მეთე, მესიათსე....

დ. განწიღვითი, — როდესაც მრთელის ნაკვეთი არის  
სათეღელი, რომელსა არითმეტიკაში ჭჭეია ანაწეავარბი:

მეათსეღი, მესეღი, მესეუღი, მეოცეღი, ჩარეი ან მეოთ-  
სეღი, — მესამეღი, ნახევარი.

ე. წყვითი, რადესაც ჭურჭელსა, იარაღს ან სათვლელს რასმე ნივთიერებას აწყვით გამოცდილი ზომისას წარმოვიდგენთ:

ორეული, სამეული, ათეული, ასეული. . . .

ვ. მოგონებითი, რადესაც თვალწინ წამოვიყენებთ, ან მოგვაგონდება, რას რა ზომა ჰქონდა:

ნაორალი, ნასამალი, ნათალი, ნასალი. . . .

ზ. მოაზრებითი, რადესაც მოფიქრებით ვამბობთ:

ორიოდე, სამიოდე, ათიოდე, ასიოდე. . . .

და წ. უსახვერო, რადესაც ვერც ბეჭითად დაგვიითვლია ზე ვერც მოფიქრებით; მაგრამ დასათვლელი კი არის:

ბევრი, ცოცა, მეცა, ნაკლები, ლუწი, კენტი.

## ღ ვ ა რ ი 5.

### ს ა ხ ე ლ ი თ ვ ი ს ე ბ ი თ ი.

სახელი თვისებითი, ან ვითარებითი, ის გვარია არის, რომელსაც ძველ დრამმატიკებში ერქვა ხედშესრული.

ღს სახელი არის სამნაირი:

ა. პირველთქმითი; რადესაც ვითარება თუ თვისება საგნისა შეუდარებლად ითქმის, პირველ სახედ:

კარგი, კეთილი, ძლიერი, მჯობი. . . .

ბ. შედარებითი, როდესაც თვისება ითქმის შეტრ-  
ლებით, შედარებით, შეორე სახედ.

უკეთესი, უძლიერესი, უმჯობესი, უფრო კარგი, უფრო  
ძლიერი, უფრო მჯობი...

და გ. აღმატებითი, როდესაც თვისებას ისეთს წარ-  
მოვიდგენთ, რომ მეტი აღარ შეიძლებაოღეს.

ღმ შეორე სახეს ან წინდაჭეუება კიდევ ერთი «უ», რომ  
გამოდიოღეს:

უკეთესი, უძლიერესი, უმჯობესი...

ან შირველ სახეს წინდაჭეუება ერთერთი ამ ლექსთა-  
განი:

ყოვლად, ფრიად, მეტად, ძლიერ, ძალიან და ითქმის:

ყოვლად საქები, ფრიად კეთილი, ძალიან კარგი, მეტად მუვე  
და სხვ....

### შ ე რ ე ე ო ბ ა.

სიტუვის ტრიალში, თუ ლაპარაკში, ყოველი სახელი  
მოძრაობს, ბრუნავს, ხან ბოლოს იცვლის, ხან თავსაც.  
ღმას დაჭრქმევი ძველათგან სრბოღვა შანშოვანისაგან,  
შერეუობა ლნტონ-ჴათალიკოზისაგან და ჴანკლეღობა  
სხეებისაგან.

სხვა ენების გრამმატიკოსები ამის დრეკას აჩქმევენ,  
ან დრეკიღებს: *déclinatio, déclinaison, — склонение.* —  
ჴანკლეღობა — ვაკანკლეღებ, — ვითამ ვარევე, აქეთაქითა  
ვდრეკავ, თავს ხან აქეთ დავაწევისებ, ხან იქით.

ჩუ ისევ ძერყეობას ვამჯობინებ, ამიტომ რომ:

1. ღრეკით იმდენჯერ და იმდენხანს ვუოფილავართ ხოლმე თავის ღრეკაში, რომ ღმთის წინაშე გვეყოფა და ახლა მანც დაფიჭიროთ თავი, როგორც სნება მოხდილის რიგია; — ან როგორც ისეთ კაცს მოაქვს თავი, რომელსაც სანტ გულში ცრუდი არა უქვს რა; —

2. კანკლელობით, ჩვენს ვალდებულებას რომ არას ღრეს არ გადავსდგომივართ, თუ არ სიკვდილისაგან და სახსენელად, და რაც გერწმენია, იმაზედ შეუპოვრად, უკანკლელობათა ვმდგარვართ, ამაზედ არა თუ ჩვენი ისტორია, — უფელა იმ ხალხთა ისტორიაც დაგვემოწმება, ვისაც კი ჩვენთან საქმე ჰქონია რამე; და

3. მერყეობით ხომ რყევა სწორეთი ზედგამოჭრილი თვისება არის ჩვენი, ღღევანდელი ხასიათია ჩვენი. რომ ვერს საქმეს ვერ დავადგებით, თუ არ დიდი ყოყმანით, დიდი გაჭირვებით, რაღაც ნაირი ზოზინით, გაუბედავობით, — ერთი სიტყვით, რყევითა.

რუ ამ სიტყვას გამიმტყუნებს ვინმე და აღარც ჩათავა ლიკოზის ნათქვამს დაიჯერებს, ნულარც მერყეობას იყა — ბულებს გრამმატიკაში; — ისევ კანკლელობა დაარქვას, ნუ გენადვლებათ. —

ჩართული ძერყეობა არის ოთხრიგი და ყოველ რიგში არის ბრუნვაც ოთხი, ან ოთხ ნაირი ისეთი დაბოლოვებას სახელისა, რომ ოთხნაირ კითხვაზედ სწორე ჰასუს იძლევაღეს.

ღათხს რატომ ვამბობ და არა ეჭვსა, რვასა, ათსა თუნდა თორმეტსა, — ესეც მალე აიხსნება.

**პირველი კითხვა:**

ვინ, რა, რომელი, როგორი, რამდენი, სადაური? . . .

**ყოველი** ამ კითხვის პასუხი იქნება ერთი მარტივი, წრფელი, გადუბრუნებელი სახელი საგნისა:

ივანე, პეტრე, კაცი, ბოძი, მესამე, კარგი, აქაური, იქაური . . .

**ღმ** მიზეზით პირველ ბრუნვას დაერქვა **ნათალიკოზმა** წრფელობითი, ან სახელობითი, გადმოთარგმნილი ლათინურნიდან — *nominativus*, და რადგან კითხვა მიათხოვს მარტო დასახელებას, მე მგონია სიტყვს მნიშვნელობა უფრო დაახლოებული იქნება, რომ ამ პირველ ბრუნვას ეწოდებოდეს სახელობითი.

**ძეორე კითხვა:**

ვისი, რისი, როგორისა, რამდენისა, სადაურისა? **ივანესი, ბოძისა კარგისა, აქაურისა** . . .

**რადგან** ამ რიგს კითხვასაც და პასუხსაც უთუოთ და მოკიდებულება აქვთ სხვისი როგორივე:

შმა ივანესი, ძირი ბოძისა, რიგი მესამესი, ადგილი აქაურისა,—

ამ მიზეზით ბრუნვას დაერქვა ნათესავობითი — *genitivus*. —

**ძესამე კითხვა:**

ვის, რას, როგორს, რომელს, სადაურს?

მიენღო ივანეს, მიეუღა ბოძსა, შეუთვალა მესამეს, უთავაზა იქაურს;—

**ცხადია**, რომ ამ ბრუნვას სახელად ისე არა მოუხდებოდა **რა, როგორც** მცემითი, *dativus*.

და ძეოიხე კიიხვა:

ვინ, რამ, რომელმა, როგორმა, რამდენმა, სდარმა?

იგნემ შიხრა, ბოძა შეიმაგრა, — კარგა აჯობა, მესამემ  
გასცა, აქურმა გაგზავნა...

ეს სულ ამბავია, მოთხრობა და იმიტომაც დაერქვა  
მოთხრობითი, — *narrativus*.

ღმ ოთხს გარდა ძველ ღრამმატიკებში იყო კიდევ  
ოთხი სხვა ბრუნვა: 5. შემასმენელობითი, 6. დაწვებითი,  
7. მოქმედებითი, 8. წოდებითი; მაგრამ:

5. შემასმენელობითი არის პირ და პირი თარგმანს ლა-  
თინურისა *accusativus*, როგორც რუსული *внимательный*  
და ჰინიშნავს «ბრალდებულებას», — «დაწამებას», «შესმენას»,  
«შემასმენელობას»; ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულე-  
ბით არა აქვს ადგილი; — ახლა შეიძლება აქაიქა იშოვებო-  
დეს ისეთი კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამოიმ-  
ტუნონ; მაგრამ თვითან მე მასსოვს ის დრო, როდესაც  
მოუყვარის ტაცემა, დაბეზლება, დასმენა, ისეთი სათაკილო  
საქმე იყო ქართველებში, როგორც, მაგალითად, ქურ-  
დობა, — და შემასმენელობითი ბრუნვა რაღაც გვექნე-  
ბოდა: — ამას გარდა — უოველს შემთხვევაში თითონ სა-  
კითხავიც პირველი ბრუნვის სხვის მექონის და პასუხიცა;  
აი მაგალითი: |

უუურეთ ერთი იმ სამაგელსა, აკი დასმინა ბაგონსა პავლე,  
მართალი, პავლიონი, უბრალო...

6. დაწვებითი ქართულში ცალკე ბრუნვა კი არ არის,

ან ნათესავობითია, ან მიტეპითი, რომელსაც დაჭკეება თან-  
დებული — გან,

ბოძისგან, კარგისაგან, იენესგან, ჰეცრესაგან;

7. მოქმედებითი ბრუნვაც ასეა; სახელობით სანეს და-  
ჭყეებოდა, სამწიგნობრო კილოში, თანდებული «თურთ»;  
ან ნათესავობითს «თანა».

პავლეს თანა, კეთილი თურთ...

თა სხლა ეს «თურთ» და «თანა» ისე შევამოკლეთ, რომ  
სახელობითს ვუმეტებთ მარტო «თ-ს.» ან «თი» ს და ნა-  
თესავობითის მაგიერად მიტეპითს — «თან-ს.»

შმისი უფრო ვრცელი ახსნა ამ ზრამმატიკის ძეორე  
ჩაწილში იქნება, ჩექსთა-თხზულებაში.

8. წოდებითი ბრუნვაც ასევეა: სახელობითს დაჭყეება,  
და თუ «ი» უზის, იმის მაგიერად უჭდება წოდებითი თან-  
დებული «ო»; სხვა ხმოვანს ემატება ვ.

სამართალი მოითხოვდა, რომ სდაც ამ ოთხ ბრუნვას,  
(5, 6, 7 და 8) ექნებოდა ადგილი, იქ უსატილოდ კიდევ  
რამდენსამე სხვა ბრუნვასაც ჰქონიყო:

9. მეოფობითსა:

სახლში, ცყეში, წყალში...

10. აღმაფლობითსა:

ბანზე, ხეზე, წყალზე...

11. გამოსვლითსა:

სახლიდამ, წყლიდამ, ცყიდამ...

12. უკეთქმითსა:

უსახლოდ, უწყლოდ, უცყეოდ...

და 13. ცვლილებით:

სახლად, წულად, ტყე... .

სულგვექნებოდა მაშინ ცამეტი ბრუნვა, — სიმდიდრე თავს გადასაყრელი, შემაწუხებელი! მაგრამ რაც საჭირო არ არის, რათ უნდა ვიძინებდეთ იმითი საქმესა? <sup>1</sup>

სიბრველი ოთხი ბრუნვის დაბოლოება აუცილებელი საკუთრება არის ბრუნვისა და თავისთავად კი არც ერთს არა აქვს არა ვითარი მნიშვნელობა; მესუთუ ბრუნვას სულ არა აქვს ქართულში ადგილი; — და სხვა ექუსი ბრუნვების დაბოლოება კი ეველა ისეთია, რომ თავისთავად შეადგენენ ცალკე სიტყვის ნაწილსა, თანდებულსა, რომელსაც თავის დროზედ უფრო დაახლოებით გავშინჯავთ. <sup>2</sup> იის თანადებულები:

გან; ო: ში, შინა, ზე, ზელ, ზელა, ზელან;

**თანდებული, ამათ გარდა, სხვაც ბევრია:**

წინ, წინეთ; გარე, გარეთ,—თან, თანა: ქვე, ქვეშ, ქვეში, შემდეგ: უკან, აქეთ, იქით და სხ.

**ყველას თუ თითო ბრუნვა მივანემეთ, ერიჭაა!.. .**

---

<sup>1</sup> ზურაბ შანშოვანი ანგარიშობდა სრბოლს ათსა: საწრფელოს, სანათოსოს, სამიცემადოს, სამოქმედოს, სამიებოს, სადასაზამოს, სამეცყველოს, საშორის-მყოფოს, საგარეშემცოს და საწოდებოს და მერყეობა მოჭყავდა ასე:

კაცი, კაციხა, კაცსა, კაცით, კაცს, კაცისაგან, კაცისას, კაცში, კაციო, კაცო.

ყოველ ოთხ შერყეობაში და ყოველ ოთხ ბრუნვაში  
არის სახე მხოლოდობითიცა და მრავლობითიცა.

კაცო: კაცები; ბოძი, ბოძები; ქლაქი, ქლაქები, მღინარე,  
მღინარეები. . .

არის ზოგი ისეთი სიტყვა, რომ მარტო მხოლოდობით  
თად იხმარება:

«ჭეშმარიტება, ბუნება», — რადგან ჩვენი გონება ვერ  
გამოიხატავს, თუ არ ერთ ჭეშმარიტებას, ერთბუნებას:  
«ჭეშმარიტებანი», «ბუნებანი» — ითქმის, მაგრამ კი არ  
ვამბობთ;—

ზოგი ისეთი სიტყვაც არის, რომ სახე მრავლობითი  
აქვს, და მხოლოდობითის წესით კი ირყევა:

ლოცვანი, ეამნი, დავიონი, თვენი, მარწვანი; . . .

საკუთრებითი სახელი, მარტივად თქმული, შეიძლება  
მრავლობითშიაც დაბრუნდეს:

მარიამ, მარიამები; თამარ, თამარები;—

და თუ სხვა სახელიც დაჰყვა ღირსებისა, ვითარებისა  
ან წოდების გამოხატველი, — მაშინ კი მრავლობითად  
დაბრუნება აღარ შეიძლება:

მარიამ ღვთაული; თამარ-მეფე; ზურაბ-სარდალი; პავლე-  
მოციქული;

მრავლობითის დაბოლოება ზოგი არის ახლანდელი  
კილოსი:

ბოძები, ხეები, წილები. . .

ზოგი სამწიგნობრო კილოსიცა:

ერთი, ათნი, ასნი... .

აწმეიძლება თქმა:

ერთბი, ათბი, ბევრები, ცოტაები, ორბივე, ხუთბივე;—

სამჯობინარია თქმა:

საერთი, სამღვდლონი, რომელნი, რომელნი, წარმოებანი..

და არა—საეროები, სამღვდლოები, რომლები, წარმოებები.. .

საქმე დაგვანახვებს, სად როგორ ემჯობინება.—

ღრის კიდევე ერთი სახე მრავლობითის ბრუნვისა, რო-  
მელსაც; მართალია, ძველი ღრამმატიკოსებიცა ხმარობ-  
დნენ და ახლა უფრო ხმარობენ ზოგნი მწერლობაში და  
ზოგნი საუბარშიაც:

დიდი კრძალვითა და მოწიწებით მოფითხვავ შენდობას  
ჩეტარ-ხსენებული ზათალიკოზისაგან, — და ძალიან შევე-  
ვადრები როგორც ჩვენს ახლანდელ ლიტერატორებს,  
ისე ერთობ სასაღვლეთ-საქართველოს თავად-აზნაურთა,  
რომ სულგრძელებით მომიტევეთ კადნიერება და მოიხ-  
სენონ ჩემგან, რომ ეს შესაძე სახე მერყეობაში მრავლა-  
ბითის რიცხვისა სწორეთ არ არის საჭირო ქართული ენი-  
სათვის და ვერცა რა საგრამმატიკო კანონი გაამართლებს;  
ჩვენი ვამბობთ:

მეზი, მამეზი, ლელები, გზეზი, მთეზი, მინღვრეზი; კარგეზი.  
ლილები, წითლები... .

შეიძლება ასეც ვიტყოდეთ:

მმანი, მამანი, ლეანი; გზანი, მთანი. მინღვრანი: კარგანი,  
ლიანი, წითლანი... .

ორივე გვაჩი თქმა, ერთიანხანდელი გილოსი ღ შოტე  
სამწიგნობროსი, — გრამმატიკულად კანონიერია და მამ  
ურგო არც ერთი არ იქნება; — მაგრამ ამ ორისავე სახის  
შერევა და თქმა:

მეზნი, მხანებოვან; ღებნი, დანებოთოვის, რომლეზნი, რომ-  
ლეზოვან, კარგეზნი, ღილეზნი, ბებრეზნი, —

სადაური გრამმატიკით იქნება გასამართებელი ან რა  
საჭიროებით? —

**წ**უ არც კანონიერია და არც საჭირო, ცამეტი ბრუნ-  
ვისა არ იუოს, რაღათ უნდა ჰქონდეს ამ სახეს ადგილი სას-  
წავლებელს წიგნში? საქმეს კი არ უნდა ვიძნელებდეთ,  
უნდა გაფიადვილებდეთ.

**წ**ის სიმდიდრეაო, ამას კი ნუ ვიტყვით აქა: ჩვენი ენის  
ნამდვილი, მართალი სიმდიდრე სხვა არის, როგორც მალე  
ვნახავთ, და იმას დავსჯერდეთ, ღიად გვეყოფა.

**წ**ურ რომ ქართული გვესწავლებინა საფუძვლიანად  
თქვენთვის, ჩემო შვილებო, — სხვა ენების შესწავლა ძა-  
ღიან გადავიღებულე გექნებოდათ; — მაგრამ, რომ იტ-  
ყვიან, ზოგი ჭირი მარტებელიაო, თქვენთვისაც აქედამ ის  
სარგებლობა გამოდის, რომ ახლა ქართული ენის კანონ-  
ნებს უფრად დღეულად შეითვისებთ; ამ კანონების შედა-  
რება სხვა ენების კანონებთან ხშირად მოგიხდებათ და მამ  
შინ თითონ დაუწეებთ საქმეს ჩხრეკასა. —

**წ**გ არის მიზეზი ახლა რომ მკითხეთ, — მხოლოდობითი  
და მრავლობითი რომ აგვისსენ, სქესისას რატომ ალა რას  
გვეტყვიო, ესე იგი საგრამმატიკო ნათესავისას?

შიტომ არას გეტყვით, რომ მამრობითად და მდეუდრობითად სიტყვის დაყოფა ქართული ენისათვის არას დროს არცა უოთაღა ზ არც არის საჭირო. ლე ჩემს სსოგუნაში შემოიღეს ვითამ არიოდსამი გარჩევა სქესის; მავალითად: ხელმწივა, მეფა, მთაფრინა, კნენა; მავრამ ქართული ენა ვერც ამას ითვისებს; — მდედრობითისა და მამრობითის განსარჩევი სიტყვა მრავალია ქართულში:

ქალი, კაცი: დედა, მამა; და, მამა... სძალი, მამლი,...

ბე მსოლოდ ამას ვამბობ, რომ ქართული გრამმატიკისათვის სქესების გარჩევა არას დროს არარის საჭირო.

ქართველები ამას ვადგევერთ და ვამბობთ, რომ კაციცა და ქალიც ორნივე ადამიანები ვართო და ერთი რომ შეორეხედ უფრო ნანარი და უფრო სატროფო იოს, სქესით შეუდლებას დიად, მავრამ საგრამმატიკო ბრუნვასა და შერეობას რა ხელი აქვსო.

ქალი რომ ჩვენი სატროფოა, რომ საუუძველია ამ წუთისოფელში ჩვენის ბედნიერებისა და იმედინი ბურჯი ჩვენის საოჯახო მუედროებისა, ეს ძველათგანვე დამგვიდრებული ხასიათი არის ჩვენი უოფაცხოვრებისა; — გრამმატიკულად გვემოწმება მავრად შემდეგი ჩვეულება:

როდესაც ორივე სქესი ერთად იხსენება ლაპარაკში, ან წერასკითხვასში, უსათუოდ ჯერ ქალს ვახსენებთ, შერეობას; — მავალითად:

ქალ-ვაჟი, და-მამა, დედა-მამა, გოგო-ბიჭი, ცოლ-ქმარი, რძალ-მამლი;...

ერთად ერთ შექმნევეაში ვახსენებთ ჯერ მამაკაცსა, მამის, როდესაც გვირგვინოსნებსე ვლამაჩაკობთ:

მეფე-დელოფალი.

სხვა რომელი განათლებული ხალხი დაიტრახებს მას ქალებთანაც და საქვეუროთაც.

მობთის წინაშე ჩვენი ქალებიც კი ყოველთვის ღირსნი ყოფილან ამისი. . . .

ზა თუ გამოცნობთ, რაზედ გვემოწმება თვითან ეს ძველებური ჩვენებური ჩვეულება?

გვემოწმება ჯერ ამაზედ, რომ ზნეობა გვექონია ძველათგანვე წმინდად-დაცული; — უამისოდ რაც ჩვენ აქამდინ აგვიტანია, როგორ ავიტანდით და დროთა განკლე-დობას როგორ გადაურჩებოდით; —

მერე ამაზე გვემოწმება, რომ არც ქალებს დაუვიწყნიათ დღევანდლამდინ თავისი დიდი მნიშვნელობა, — და თავის განთქმულს მშვენიერებასთან სხიერი გული არას დროს არ აუცრუვებიათ ოჯახობაზედ და სამშობლო ქვეყანაზედ; —

და კიდევ ამაზე გვემოწმება, რომ. . . ვთქვა ესეცა, თუ ნულარ ვიტყვი? . . .

მეფე-დელოფალიო, რომ ვამბობდი, ჩვენ ამითი იმ საერო აღსარებას ადვიარებდით», რომ ყოველთვის «ადმ-სარებულნი» ყუოფილვართ ერთმთავრობისა!

ისტორიას ვერა ვინ გადაუგება.

ძვევასზე გვექონდა ლაშარაკი. ჟართული რევეა, კანკა-  
ლელობა, მერყეობა, ზოგის აზრით სამრიგია, ზოგისა  
ოთხრიგია და ზოგისა შვიდრიგია; მაგრამ თვალთ დანახ-  
ხვთ, რომ ერთად ერთია. ზქა იქა განსხვავებაც მოხდება  
ხოლმე, მართალია; — მაგრამ ისეთი დიდი ცვლილება არა  
გამოდისრა, რომ კაცი იტყოდეს, არა, აქ სწორეთ სხვა-  
ნაირი მერყეობა გვეჭირდება; — და თუ ანდაზა მოვიგოა-  
ნეთ «ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო», — უნდა პატივი  
ვსცეთ ამ ჩვეულებასა და გავჭეთო ოთხად ჩვენი მერყეობა.

ზლა ცალცალგე გავშინჯოთ ეს ოთხივე მერყეობა. ზმ  
შინჯვაში ჩვენი სალაშარაკო იქნება მერყეობის ნიშნები  
მარტო სასაუბრო კილოსი. სამწიგნობრო კილოს მერ-  
ყეობაც მომეყეს, მაგრამ მარტო იმისთვის, რომ განსხვა-  
ვება თვალთ დანახებოდეს; — ორ სვეტად მომეყეს სიტ-  
ყვის დაბრუნება: მარცხნით სასაუბრო და მარჯვნით სამ-  
წიგნობრო. ლახსოვდეთ კი, რომ ჩვენი საკვლევი არის  
მარცხენა მხარე; ის არის ამხსნელი ჩვენი ცხოველი ენის  
კანონისა.

### მერყეობა შირველი.

ძა სიტყვასაც ბოლოს დაჭეება უხმო ასო რომელია  
მე: ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, და სხვა, ყოველი ეს სიტ-  
ყვა ისე დაბრუნდება, თითქო ყველას ბოლოში ი სჯდოა  
მიყოს.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

ხ ა ს ა უ ბ რ ო .

ს ა შ წ ი ე ნ ო ბ რ ო .

დასახ.	ანტონ	კაც ი	ანტონ	კაცი
ნათეს.	ანტონ ისა	კაც ისა	ანტონ ისა	კაცი სს
მიც.	ანტონ სს	კაც სს	ანტონ სს	კაც სს
მოთხზ.	ანტონ მს	კაც მს	ანტონ მან	კაც მან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	ანტონ ებ ი	კაც ებ ი	ანტონ ნი	კაც ნი
ნათეს.	ანტონ ებ ისა	კაც ებ ისა	ანტონ თა	კაც თა
მიც.	ანტონ ებ სს	კაც ებ სს	ანტონ თა	კაც თა
მოთხზ.	ანტონ ებ მს	კაც ებ მს	ანტონ თა	კაც თა.

**ქ**ას დავინახავთ, ამ მერყეობას რომ დავაკვირდეთ?

რომელსაც სიტყვას ბოლოში უხმო ასო უზის, იმ ასოს ბრუნვებში ემატება: მსოფლობითში — «ისა, სს, მს»; მრავლობითში — ჯერ სიმრავლის ნიშანი «ებ» და მასუკან იგივე მსოფლობითის ნიშნები; —

რომელსაც სიტყვას ბოლოში უზის ხმოვანი ასო «ი», ეს ასო ჰქრება მიცემითში და მოთხრობითში; და ისე გა- მოდის, თითქო ან პირველ სიტყვასაცა ჰსჯდომიყოს «ი», — ან არც ამ მეორე სიტყვასა ჰსჯდომიყოს; სხვებ რე ვსთქვამთ: თითქო ან ასე ყოფილიყოს: «ანტონი, კა- ცი»; ან ასე: «ანტონ», «კაც»; — განსოფდეთ, რომ აქ ხმო- ვანი «ი» იკარგება მიცემითში და მოთხრობითში.

**ყ**ოველი სიტყვა, დაბოლოებული უხმო ასოთი, ან ხმოვანი «ი-თ.» ამ პირველი მერყეობით დაბრუნდება, — იმ

სიტყვებს გარდა, რასაც აქ შეორე, მესამე და მეოთხე მეორეობაში მოგიყვანა.

**შეკრება მეორე.**

ქასაც სიტყვას ორში ერთი ხმოვანი ასო დაჭყვება, «ა» თუ «ე», მაგალითად: «მთა», «კლდე», — ასე დაბრუნდება:

**მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.**

დასახ. . მთა	კლდე	მთა	კლდე
ნათეს. . მთ ისა	კლდ ისა	მთ ისა	კლდ ისა
მიც. . . მთა სა	კლდ ესა	მთ ასა	კლდ ესა
მოთხრ. მთა მ	კლდ ემ	მთ ამან	კლდე მან.

**მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.**

**ს ა ს ა უ ბ ო .**

**ს ა მ წ ი ვ ნ ო ბ ო .**

დასახ. . მთ ებ ი	კლდე ები	მთა ნი	კლდე ნი
ნათეს. . მთ ებ ისა	კლდე ებისა	მთა თა	კლდე თა
მიც. . . მთ ებ სა	კლდე ებს	მთა თა	კლდე თა
მოთხრ. მთ ებ მა	კლდე ებმა	მთა თა	კლდე თა.

**ჩქ რადსა ვჭხედავთ?**

«ასა» და «ესა» ჭკარგავს მხოლოდობითში მარტო ერთი ბრუნვა, «ნათესავობითი»; მრავლობითში კი: ყოველგან იკარგება «ა» და არსად არ იკარგება «ე».

ჩსე დაბრუნდება ყოველი «ათა» და «ესთ.» დაბოლოება უღლი სიტყვა, ოღონდ:

1. ან საკუთრებითი სახელი ან იყოს ადამიანისა:  
ანა, მართა, პეტრე, პავლე. . . .
  2. ან საზოგადოებითი სახელი ან იყოს მდელოსი, მტენარესი, მწერისა და მდაბალგვარის ცხოველისა რისამე:  
გვირილა, ბურბუშელა, კრაზანა, ცოროლა, თრითინა, ღე-  
ლოფალა. . . .
  3. ან ისეთი სახელი ან იყოს საზოგადოებითი, რომ  
თრისსამი სიტყვისაგან იყოს შედგენილი:  
ლოპემპერალა, გულაფუშუტა, ძირმწარე, ძირტკიბილა, ლოპე  
უურე, შავთვალწარბა. . . .
- და 4. ან სახელწოდება ან იყოს ხელაბისა ან სადგოა-  
მისა რისამე:
- მენავე, მეველე, მერიქიფე; საირმე, საქათმე, სალორე. . . .
- ყველა ეს მეორე მერყეობიდან გამოსარჩენავი სიტყვა  
თავისთავად გადადის შესამე მერყეობაში.

### ძ ე რ ყ ე ო ბ ა მ ე ს ა მ ე .

ღმ მერყეობით იბრუნვიან:

1. ყოველი ზემოთქმული, ოთხი მუხლით მეორე მერ-  
ყეობიდან გამოირჩეული, სიტყვები; —
- და 2. ყოველი სახელი, რასაც კი ბოლოს დაჭყეება «თ»  
და «ყ».

ღმ მერყეობაში ან იგარგება არც ერთი დაბოლოე-  
ბ

ბითი ხმოვანი ასო; ყველას ისვე ბრუნვის ნიშანი მიემატება, რაც მეორე მერყეობაში იყო, მარტო «ნათესავლობის» გარდა, სადაც «სას-ს» მაგიერად ემატებათ «სი»:

პავლეი, შენავეი, ოქროსი, ზუსი.

### ჭ კ რ ე ე ბ ა მ ე ო თ ხ ე .

ღმ მერყეობით დაბრუნდება ყოველი ორსამართის და შეტმარცვლოვანი სახელი, რომელსაც ბოლოს დაჭყეება:

ალი, ამი, ანი, არი; ელი, ემი, ენი, ერი; ოლი, ომი, ონი, ორი.

და ამ სახელების ბრუნვის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ა, ე და ო აკლდებათ: მხოლოდობითი-ნათესავლობითსა და მრავლობითში-ყველა ოთხსავე ბრუნვას.

### მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ .

დასახ. .	მძახალი	ქედანი	მძახალი	ქედანი
ნათეს. .	მძახლისა	ქედნისა	მძახლისა	ქედნისა
მიც. . .	მძახლს	ქედანს	მძახლსა	ქედანსა
მოთხრ.	მძახლმა	ქედანმა	მძახლმან	ქედანმან.

### მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ .

დასახ. .	მძახლები	ქედნები	მძახლნი	ქედანნი
ნათეს. .	მძახლების	ქედნების	მძახლთა	ქედანთა
მიც. . .	მძახლებს	ქედნებს	მძახლთა	ქედანთა
მოთხრ.	მძახლებმა	ქედნებმა	მძახლთა	ქედანთა.

ასე დაბრუნდებიან.

აზგარი	ზონარი	მდაბალი	მწურალი
აეროვანი	ზვარი	მღვარი	მწიგნობარი
ამქარი	თათარი	მდიდარი	მწოვარი
ატამი	თვალი (ურმისა)	მეტობარი	მწუერი
ათიცარი	თითბერი	მეზობელი	მჭამელი
აღმავალი	თითისტარი	მეიღანი	მჭედელი
აღმსარებელი	ირემი	მელანი	მხალი
აღმშენებელი	ისარი	მერცხალი	მხმობელი
ბადალი	კალამი	მთხოვარი	მხვეალი
ბაზარი	კეისარი	მთხრობელი	ნაკვეთი
ბაჟალი	კისერი	მიზანი	ნამკალი
ბაწარი	* კოჭობი	მინანქარი	ნაყოფანი
ბერძენი	* კოჯორი	მისანი	ნიაღვარი
* ბეჭელი	კვალი	მკელობელი	ნიშანი
ბიშერი	კუტალი	მკერვალი	* ობოლი
* გოღარი	ლოუსმანი	მკვარი	ოქრომჭედელი
ღამბაღებელი	მაგარი	მკვარი	ოხშივარი
ღამქაღებელი	მაღიღებელი	მქადაგებელი	რომელი
ღამწამებელი	მაშალი	მლაღებელი	რძალი
ღამწვარი	მანდილოხანი	მღებარი	საბეელი
ღედალი	მარცვალი	მღვდელი	საგანი
ღეღანი	მატყუვარი	მშობელი	* საპონი
ღივანი	მაქეზარი	მშველი	სარდალი
ეკალი	მაღალი	მწვარი	სარემელი
ერკემალი	მაცხოვარი	მძახალი	სასთუმალი
ვაჭარი	მგალობელი	მძევალი	სასმელი
ვამთარი	მტელი	მძოვარი	საქონელი
ვეწარი	მგოსანი	მწვეარი	საჭმელი

სიზმარი	ფიწალი	ცვარი	ჭერამი
სთველი	ქათამი	ცხვარი	ხალხოსანი
სომეხი	ქამარი	ძმარი	ხანჯალი
სოსანი	ქედანი	ძველი	ხმალი
ცლიავარი	ქმარი	ძღვენი	ჯანჯალი
ცპარი	ქოთანი	წამწამი	ჯეირანი
ურემი	ქონდარი	წელი (წელი- წადი)	ჯეროვანი
ფალავანი	ღრუბელი	წენი	ჯვარი
ფარგალი	ყურძენი	ჭანდარი	ჭაეროვანი...
ფილაქანი	შაქარი	ჭანდარი	
ფიცარი	ჩადროსანი	ჭარხალი	

ერთის სიტყვით, ასე დაბრუნდება უოველი სახელი, როა მელსაც ბოლას მოექტევა:

ალი, ამი, ანი (მეტადრე-ოვანი), არი; ელი ემი, ენი, ერი და  
ოლი, ომი, ონი, ორი.

შაგრამ:

1. არის ზოგი ისეთი სახელიცა, რომ ასე ჰბოლოვ-  
დება და ამ კანონს კი არ ემორჩილება:

ბენიერი	დამჭენარი	მებენარი
ბიწიერი	თვალი (რომ- ლითაც ვი-	მცბიერი
გამცემი	ხედებთ.)	სარბიელი
დამცემი	მადლიანი	საქციელი
გადამწერი	მარილიანი	ხმიანი
გადანაწერი	მოლლიანი	ხმოვანი
გვარიანი	მოლხინარი	ხმოსანი
დამღნარი	მოცინარი	ხრინწიანი...

2. არის რამდენიმე სახელი, რომელთაცა, ე, ო-კი ან კარგებათ, ვად ეცვლება:

მშვენიერი, გონიერი, ნიორი; მშვენიერისა, გონიერისა, ნიერისა.

**ძაც** აქ ბრუნვები მოვიყვანეთ, ისე დაბრუნდება ყოა კელი სახელი არსებითი, რიცხვითი ჭ თვისებითი; აგრეთვე ყოველი სახელზმნა ჭ მიმღეობა, როგორც ზმნის შინჯვა შიაცა ვნახავთ; —

და ყოველი ამ სიტყვათაგანი უთუთ ისე დაბრუნდება, როგორც ამ ოთხი მერყეობის წესი მოიხსოვს, თუ რომ სახელი ცალკე არის დასაბრუნებელი; და თუ ორი ან მეტი სახელი არის ერთად დასაბრუნებელი, მაგალითად:

გულადი კაცი, — ან გულადი, ღონიერი, გამბედავი კაცი; ან ერთი და ორი გამბედავი კაცი, —

მაშინ წინ დაგვხვდება ერთი სხვა რიგი კანონი, როა შელსაც ჩვენი ახლანდელი მწერლობნი გრძნობით კი ჭგრძნობენ, არის რაღაცა კანონიო, მაგრამ ბეჯითად კი არ იციან, როგორი რა არის. წმაი რიცხვში დასათვლელნი არ არიან არც «შრომის» მოღვაწენი, რადგან იმათ შირ ველში ვე დაეტეოთ, რომ სტოდნიათ ქართული; — და რც — ზოგი და ზოგი «დროებისა» და «ივერიის» — მოა ღვაწენი, და უფრო ჩვენი სახელოვანი პოეტები.

სხვებთან კი ნუ რას უკაცრავად: შვილებისათვისა ვსწერ მე ამას.

**ძატომ** ინგლისებს არ მივბაძავთო, თვითანც რომ 'სალიან «განვითარებულ და განათლებულ მენაგეები არიან

და საგრამატიკოც რომ ძალიან შემოკლებულ, განმარტოებულ და განვითარებულ კანონები აქვთო, მეუბნებაინ.

ჰურთხეულთა ძენო და თვით ჰურთხეულნო! გულ დამაშვიდებით ისმინეთ კადნიერი და პირუთნებელი მოხსენება ესე:

ზოგი ერთი მიბაძვაც წახწყმელს აღამიანსა.

რინ როგორ იგლისება, ყველას თუ მივბაძეთ, მაშინ ვნე და ხსიათი როგორ გამოგვეცვლება, ეს ვინდა იცის.

ძქვენ ეს გაიკვეთეთ, ჩემო სიცოცხლე შეიღებო, კარკათა, რომ ყოველს ენას ბევრნაირი თავისი დასაკუთრებული ხსიათი აქვს, თავისი თანშეყელილი იდიოტიზმები, რომელიც სხვა ენას ეუცხოება, მაგრამ ვატრონისათვის, ვინ იცის, იქნება სასიქადულოც იუოს.

ღმ გვარია ის კანონიცა, რომლის გამოკვლევას ახლა ვაბტებით.

ღბა, დავაბრუნოთ ზევით მოყვანილი მაგალითები:

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. . გულადი	კაცი	გულადი	კაცი
ნათეს. . გულადი	კიცისა	გულადისა	კაცისა
მიტემ. . გულად	კაცსა	გულადსა	კაცსა
მოთხრ. გულადმა	კაცმა	გულადმა	კაცმა

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. . გულადი	კაცები	გულადნი	კაცნი
ნათეს. . გულადი	კაცებისა	გულადთა	კაცთა
მიცემ. . გულად	კაცებსა	გულადთა	კაცთა
მოთხრ. გულადმა	კაცებმა	გულადთა	კაცთა

ქ ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი, «კაცი», ჰბრუნაჲს ოგორც რი-  
გია, თვისებითი კი, «გულადი», მარტო მიცემითში ჰკარ-  
გავს ი-სა და მოთხრობითში ი-ს მაგიერად მას ითვია  
სებს, მხოლოობითშიაც და მრავლობითშიაც.

ღ ს ლ ა მ ე ო რ ე მ ა გ ა ლ ი თ ი.

ს ა ს ა უ ბ რ ო.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. . გულადი	ღონიერი	გამბედავი	კაცი
ნათეს. . გულადი	ღონიერი	გამბედავი	კაცისა
მიცემ. . გულადს	ღონიერს	გამბედავ	კაცსა
მოთხრ. გულადმა	ღონიერმა	გამბედავმა	კაცმა.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. . გულადი	ღონიერი	გამბედავი	კაცები
ნათეს. . გულადი	ღონიერი	გამბედავი	კაცებისა
მიცემ. . გულადს	ღონიერს	გამბედავ	კაცებს
მოთხრ. გულადმა	ღონიერმა	გამბედავმა	კაცებმა.

ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო .

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ა დ .

დასახ. . — ი — ი — ი — ი  
 ნათეს. . — ისა — ისა — ისა — ისა  
 მიცემ. . — სა — სა — სა — სა  
 მოთხრ. — მან — მან — მან — მან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ .

დასახ. . — დნი — რნი — ვნი — ცნი  
 ნათეს. . — დთა — რთა — ვთა — ცთა  
 მიცემ. . — დთა — რთა — ვთა — ცთა  
 მოთხრ. — დთა — რთა — ვთა — ცთა.

ქ თვისებითი სახელის სიმრავლემ მარტო ეს ცვლილუბა მოახდინა, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშანი «ს» მხოლოდ იმ სიტყვას გამოაკლო, რომელიც უმანლობელისა არსებითი სახელისა.

ჩქსამე მაგალითი:

ს ა ს ა უ ბ რ ო .

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ა დ .

დასახ. .	გულადი,	ლონიერი	და გამბედავი	კაცი
ნათეს. .	გულადისა,	ლონიერისა	და გამბედავი	კაცისა
მიცემ. .	გულადსა,	ლონიერსა	და გამბედავ	კაცსა
მოთხრ.	გულადმა,	ლონიერმა	და გამბედავმა	კაცმა.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ .

დასახ. .	გულადი,	ლონიერი	და გამბედავი	კაცები
ნათეს. .	გულადისა,	ლონიერისა	და გამბედავი	კაცებისა
მიც. . .	გულადს,	ლონიერს	და გამბედავ	კაცებს
მოთხრ.	გულადმა,	ლონიერმა,	და გამბედავმა	კაცებმა.

ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო .

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ა დ .

ღასახს. — ღი,— რი— ვი— ცი  
ნათეს.. — ღისა,— რისა— ვისა— ცისა  
მიცემ.. — ღსა,— რსა— ვსა— ცსა  
მოთხრ. — ღმან,— რმან— ვმან— ცმან.

მ რ ა ვ ლ ო ო ბ ი თ ა დ .

ღასახს. — ღნი,— რნი — ვნი— ცნი  
ნათეს.. — ღთა,— რთა — ვთა— ცთა  
მიცემ.. — ღთა,— რთა— ვთა— ცთა  
მოთხრ. — ღთა,— რთა — ვთა— ცთა.

ქ თვისებითი სახელის სიმრავლემ მხოლოდ ეს ცვლილება მოახდინა, რომ პირველ ორ თვისებას მიცემითში «სა», ან «სი» მიუსვას; და ეს ცვლილება მოახდინა ჰაწაწა კავშირმა, დაამა.

ღმ მაგალითებიდან ერთი საზოგადო კანონი გამოიხატება, რომლისათვისაც ბევრს ჩვენგან თვალი ჯერაც ვერ მოუკრავს: მოთხრობით ბრუნვაში, რამდენიც უნდა იყოს ერთად სახელი, არსებითი იქნება, თვისებითი, თუ რიცხვითი, ამ ბრუნვის ნიშანი «მა ან «მი» ყოველთვის დაჭაფება; — არ მიიღებს ამ დაბოლოებას ისეთი თვისებითი სახელი, რომ ბოლოს უკვდეს ე, ო, უ, — თუ ამგვარი სახელი არსებითს წინ მიუძღვის:

მრწინვალე ვარსკვლავმა, მომყოფო ქლიავმა, ზღუ ენამ; —

და თუ თან მისდევს არსებითსა, მაშინ კი უთუოდ უნდა მიიღოს მოთხრობითის ნიშანი:

ვარსკვლავმა ბრწყინვალემა, ქლიავმა მომყავთ, ენამა ბლუმს.

ჩხლა მგონია ცხადი იყოს, რომ თვისებითი სახელების დაუბრუნებლობა ანსებით სახელთან ისე გამოადის, თითქო მდაბიურად ნათქვამი მართლდებოდეს: «როგორც უჯობს ისე უბნობსა». —

მაშ არც ეს იქნება გრამმატიკულად კანონიერი, რომ ვიტყვოდეთ:

«განათლებულ და განვითარებულ მენავეებმა, ან სხვებ ამაინარად.

ქუნი და მოვიუენათ ორი სახელი, რომელნიც გამოკვლევულ კანონებს არ ექვემდებარებიან და გაცალკეებით იბრუნვიან:

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ა დ.

დასახ. .	მთი	ხუცესი	მთი	ხუცესი
ნათ. . .	მთისა	ხუცისა	მთისა	ხუცისა
მიც. . .	მთსა	ხუცესსა	მთსა	ხუცესსა
მოთხრ.	მთმა	ხუცესმა	მთმან	ხუცესმან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. .	ღმერთები	ხუცები	ღმერთნი	ხუცესნი
ნათ. . .	ღმერთებისა	ხუცებისა	ღმერთთა	ხუცესთა
მიც. . .	ღმერთებსა	ხუცებს	ღმერთთა	ხუცესთა
მოთხრ.	ღმერთებმა	ხუცებმა	ღმერთთა	ხუცესთა.

